(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

BATS Global Markets Holdings, Inc.-ის ხელმომწერის ხელშეკრულება

ვენდორს არა აქვს უფლება, შეცვალოს ან უარყოს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მოდიფიკაცია, რომელიც არ არის განხორციელებული BATS Global Markets Holdings, Inc.-ის ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ (შემდგომში, ერთობლივად BATS), გათილად ითვლება.

BATS Global Markets Holdings, Inc.-ის წინამდებარე „ხელმომწერის ხელშეკრულება" (შემდგომში, ხელშეკრულება), რომელიც ძალაში შედის ამ ხელშეკრულების დადების თარიღიდან, რომელიც ბოლოშია მითითებული ხელმოწერის გვერდზე, ფორმდება ერთი მხრივ ვენდორსა (შემდგომში, ვენდორი), ქვემოთ მოცემული განსაზღვრების თანახმად, და მეორე მხრივ, ხელმომწერს (შემდგომში, ხელმომწერი), ქვემოთ მოცემული განსაზღვრების თანახმად, შორის.

1. **განმარტებები.** აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვს ამ 1-ლ პარაგრაფში განსაზღვრული მნიშვნელობები.

მოთხოვნები ან დანაკარგები - ნებისმიერი და ყველა დავალიანება, ვალდებულება, დანაკარგი, ზარალი, ჯარიმა, მოთხოვნა, სასამართლო სარჩელი, სასამართლო განხილვა, ხარჯი, სასამართლო გადაწყვეტილება, ანგარიშსწორება და ნებისმიერი სახის დანახარჯი, რომელიც განიცადა პასუხისმგებლობის და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისგან გათავისუფლებულმა მხარემ ან მესამე მხარემ ანდა წარედგინა პასუხისმგებლობის და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისგან გათავისუფლებულ მხარეს ან მესამე მხარეს, მათ შორის, შეუზღუდავად, (ა) ირიბი, საგანგებო, სადამსჯელო, თანმდევი ან შემთხვევითი დანაკარგები ან ზარალი, და (ბ) ადმინისტრაციული ხარჯები, საგამოძიებო ხარჯები, სასამართლო პროცესის ხარჯები, აუდიტორების და ადვოკატების ჰონორარები და ხარჯები (მათ შორის შიდა პერსონალის).

საფონდო ბირჟის მონაცემები - კონკრეტული მონაცემები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ეხება ფასიან ქაღალდებს ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს, პროდუქტებს, ინფორმაციის გადამცემ არხებს ან მოწყობილობას; ანდა ეხება BATS-ის მიერ რეგულირებულ პირებს ან BATS-ის საქმიანობას; ანდა შეგროვილია BATS-ის მიერ სხვადასხვა წყაროდან.

არაპროფესიონალი ხელმომწერი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის: (ა) რეგისტრირებული ან რაიმე სტატუსით კვალიფიცირებული „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიაში" (შემდგომში, SEC), „სასაქონლო ფიუჩერსების სავაჭრო კომისიაში", რომელიმე ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო სააგენტოში, ფასიანი ქაღალდების

ბირჟასა ან ასოციაციაში ანდა რომელიმე სასაქონლო ან ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე ან ასოციაციაში; (ბ) არ ასრულებს „საინვესტიციო კონსულტანტის“ ფუნქციას, ამ ტერმინის 1940 წლის „საინვესტიციო კონსულტანტების შესახებ“ კანონის 202(ა)(11) მუხლში განსაზღვრული მნიშვნელობით (მიუხედავად იმისა, არის თუ არა რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული ამ კანონის შესაბამისად); ანდა (გ) არ ჰყავს ბანკს ან სხვა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური ან სახელმწიფო კანონებით გათავისუფლებულია რეგისტრაციისგან, დაქირავებული ისეთი ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოითხოვს რეგისტრაციას ან კვალიფიცირებას თუ ასეთი ფუნქციები სრულდება ისეთი ორგანიზაციისთვის, რომელიც არ არის ამგვარად გათავისუფლებული.

პირი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, კორპორაცია, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ტრასტი, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, კომპანია, კომანდიტური საზოგადოება ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არაინკორპორირებული ორგანიზაცია, ან სხვა საწარმო.

პროფესიული ხელმომწერი - ყველა სხვა პირი, რომელიც არ შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის განსაზღვრებას.

SEC – აშშ-ის ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისია.

ხელმომწერი - ერთობლივად, ყველა არაპროფესიონალი და პროფესიონალი ხელმომწერი.

ვენდორი - „მონაცემთა მიმღები“, იმ მნიშვნელობით, როგორც არის ეს ტერმინი განსაზღვრული BATS Global Markets Holdings, Inc.-ის „მონაცემთა ხელშეკრულებაში“ იმ მოდიფიცირების ჩათვლით, რაც შესაძლოა ამ ტერმინმა დროდადრო განიცადოს.

ვენდორის მომსახურება - ვენდორის მიერ გაწეული მომსახურება, მათ შორის მონაცემთა დამუშავების აღჭურვილობა, კომპიუტერული პროგრამები და მათთან დაკავშირებული საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებითაც ხდება საფონდო ბირჟის მონაცემების მიღება, დამუშავება, გადაცემა, გამოყენება და მიწოდება ხელმომწერისთვის ან ხელმომწერის მიერ.

2. **მონაცემთა გამოყენება.** ხელმომწერს არა აქვს უფლება მიყიდოს, იჯარით მისცეს, მიაწოდოს საფონდო ბირჟის მონაცემები ნებისმიერ სხვა პირს ან სხვაგვარად დაუშვას ან უზრუნველყოს საფონდო ბირჟის მონაცემებთან წვდომა რაიმე სხვა ოფისში ან ადგილას. ხელმომწერი არ გამოიყენებს საფონდო ბირჟის მონაცემების უკანონო ბიზნესში ან არ მისცემს ვინმე სხვას უფლებას, გამოიყენოს საფონდო ბირჟის მონაცემები ან მისი რომელიმე ნაწილი უკანონო მიზნებისთვის ანდა დაარღვიოს BATS-ის თუ SEC-ის რომელიმე წესი ან რეგულაცია. ხელმომწერს არა აქვს უფლება, წარადგინოს საფონდო ბირჟის მონაცემები, რომლებიც მიწოდებულია რაიმე უსამართლო, შეცდომაში შემყვან ან დისკრიმინაციულ ფორმატში. ხელმომწერმა უნდა მიიღოს უსაფრთხოების სათანადო ზომები, რათა აღკვეთოს არაავტორიზებული პირების წვდომა საფონდო ბირჟის მონაცემებთან.

გამოყენება არაპროფესიონალი ხელმომწერების მიერ. საფონდო ბირჟის მონაცემების გამოყენება არაპროფესიონალ ხელმომწერებს შეუძლიათ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის. ვენდორისთვის არაპროფესიონალ ხელმომწერად წარდგენით, ანდა არაპროფესიონალი ხელმომწერის ტარიფით საფონდო ბირჟის მონაცემების მიღების გაგრძელებით, ხელმომწერი უდასტურებს ვენდორს და BATS-ს, რომ ხელმომწერი შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის იმ განსაზღვრებას, რომელიც ამ ხელშეკრულებაშია მოცემული. არაპროფესიონალმა ხელმომწერმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს BATS-ის ან მისი უფლებამოსილი პირის ნებისმიერი გონივრული მოთხოვნა ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც ეხება არაპროფესიონალი ხელმომწერის მიერ საფონდო ბირჟის მონაცემების მიღებას, დამუშავებას, დემონსტრირებას, გამოყენებასა და გავრცელებას.

გამოყენება პროფესიონალი ხელმომწერების მიერ. საფონდო ბირჟის მონაცემების გამოყენება პროფესიონალ ხელმომწერებს შეუძლიათ შიდა საქმიანი მოხმარების და/ან პირადი მოხმარებისთვის. პროფესიონალ ხელმომწერს აქვს უფლება, არარეგულარულად მიაწოდოს საფონდო ბირჟის მონაცემები შეზღუდული მოცულობით მომხმარებლებს წერილობითი რეკლამების, კორესპონდენციის ან სხვა ლიტერატურის გზით ხმოვანი სატელეფონო საუბრების დროს, რომელიც არ მოიცავს კომპიუტერიზებულ ხმას, საინფორმაციო ცნობარის ავტომატიზებულ სისტემებს ან მსგავს ტექნოლოგიებს. საკმარისი დროით ადრე მიღებული სათანადო შეტყობინების საფუძველზე, პროფესიონალმა ხელმომწერმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს საკუთარი ობიექტები BATS-ის ან მისი უფლებამოსილი პირისთვის, რათა მან შეძლოს ვენდორის მომსახურების და პროფესიონალი ხელმომწერის მიერ საფონდო ბირჟის მონაცემების გამოყენების ფიზიკური ინსპექტირება (მათ შორის საფონდო ბირჟის მონაცემების გამოყენების და წვდომის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის შესწავლა და ყველა იმ მოწყობილობის რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შემოწმება, რომლებიც საფონდო ბირჟის მონაცემებს იღებს) წინამდებარე ხელშეკრულებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

3. **მონაცემთა საკუთრების უფლება.** ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით, BATS-ი ხელმომწერს ანიჭებს არაექსკლუზიურ ლიცენზიას, ამ ლიცენზიის გადაცემის უფლების გარეშე, რათა მიიღოს ვენდორის მიერ მიწოდებული საფონდო ბირჟის მონაცემები და შემდეგ გამოიყენოს ასეთი საფონდო ბირჟის მონაცემები ამ ხელშეკრულების პირობების და ასევე BATS-ის და SEC-ის ყველა შესაბამისი კანონის, ნორმატიული აქტის, წესის და რეგულაციის შესაბამისად, მათ შორის, და არა მარტო, BATS-ის წესების პაკეტის, BATS-ის გადაწყვეტილებების და ინტერპრეტაციების და ასეთი კანონების, ნორმატიული აქტების, წესების და რეგულაციების ნებისმიერი სპეციფიკაციის ან სამართალმემკვიდრის შესაბამისად. ხელმომწერი აღიარებს და ეთანხმება, რომ BATS-სა და მასთან დაკავშირებულ პირებს აქვთ საკუთრების უფლებები საფონდო ბირჟის იმ მონაცემებზე, რომლებიც იქმნება ბაზრებზე ან გამომდინარეობს იმ ბაზრებიდან, რომლებიც რეგულირდება ან ოპერირებს BATS-ის მიერ, და ასევე კომპილაციის ან სხვა უფლებები იმ საფონდო ბირჟის მონაცემებზე, რომლებიც სხვადასხვა წყაროდან არის შეგროვილი. ხელმომწერი ასევე აღიარებს და ეთანხმება, რომ

BATS-ის ინფორმაციის მომწოდებელ მესამე მხარეებს აქვთ ექსკლუზიური საკუთრების უფლებები თავ-თავიანთ ინფორმაციაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერი ან ხელმომწერის მეშვეობით საფონდო ბირჟის მონაცემებთან წვდომის მქონე ნებისმიერი სხვა პირი მიითვისებს ან არასათანადოდ გამოყენებს მონაცემებს, BATS-ს ან მის ინფორმაციის მომწოდებელ მესამე მხარეებს აქვთ უფლება, მოიპოვონ სასამართლოს აკრძალვა მათი შესაბამისი მასალების გამოყენებაზე. ხელმომწერმა უნდა მიუთითოს საფონდო ბირჟის მონაცემების წყარო ყველა ვითარებაში.

4. **გადახდა.** ხელმომწერმა უნდა აიღოს სრული პასუხისმგებლობა ნებისმიერი გადასახადის, საფასურის ან ანარიცხის გადახდაზე, რომლებიც დაკისრებული აქვს ხელმომწერს ან BATS-ს (გარდა BATS-ზე დაკისრებული აშშ-ის ფედერალური, სახელმწიფო ან ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებისა, ასეთის შემთხვევაში) რომელიმე უცხო ან საკუთარი ქვეყნის ეროვნული, საშტატო, საოლქო ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოს ან ასეთი ორგანოს ქვედანაყოფის მიერ, და ასევე, ყველა ჯარიმის ან პროცენტის გადახდაზე, რომლებიც უკავშირდება საფონდო ბირჟის მონაცემების ხელმომწერისთვის უზრუნველყოფას. საპროცენტო განაკვეთი გადასახდელი იქნება ინვოისის თარიღიდან იმ დრომდე, როდესაც მოხდება გადასახდელი თანხების დაფარვა. მოქმედი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელმომწერი აღიარებს და ეთანხმება, რომ გადაუხდელობის გამო ვენდორის მომსახურების შეწყვეტა არ ჩაითვლება BATS-ის მიერ წვდომის არასათანადო შეზღუდვად. თუ პროფესიონალ ხელმომწერებს ამ ხელშეკრულების თანახმად აქვთ რაიმე გადასახადი გადასახდელი უშუალოდ BATS-ისთვის, გადახდა უნდა მოხდეს სრულად BATS-ისთვის პირველივე ხელმისაწვდომი თანხებიდან ინვოისის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში მიუხედავად იმისა, გამოყენებულია თუ არა საფონდო ბირჟის მონაცემები ან უზრუნველყოფილია თუ არა წვდომა საფონდო ბირჟის მონაცემებთან. ხელმომწერი თანახმაა, გადახდის დაგვიანებისთვის BATS-ს გადაუხადოს ჯარიმა თვეში 1%-ის ოდენობით ყველა იმ გადაუხდელ თანხაზე, რომლებიც არ წარმოადგენს კანონიერი დავის საგანს.

5. **სისტემა.** ხელმომწერი აღიარებს, რომ BATS-ს აქვს უფლება, პერიოდულად, საკუთარი შეხედულების მიხედვით, მოახდინოს მისი სისტემების ან საფონდო ბირჟის მონაცემების მოდიფიკაცია. ასეთმა მოდიფიკაციებმა შესაძლოა მოითხოვოს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ვენდორის მომსახურებაში. ვენდორის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა ან ცვლილებების დროულად განუხორციელებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს წყვეტა ან შეფერხება ხელმომწერის მიერ საფონდო ბირჟის მონაცემების გამოყენებასა ან წვდომაში ან მოახდინოს სხვაგვარი ზემოქმედება. BATS-ი არ არის პასუხისმგებელი არც ერთ ასეთ შედეგზე. BATS-ი არ იწონებს ან ამტკიცებს რომელიმე ვენდორს, ვენდორის მომსახურებას ან ვენდორის თუ ხელმომწერის მიერ გამოყენებულ აღჭურვილობას.

6. **პასუხისმგებლობის შეზღუდვა.**
BATS-ი, მისი ოფიცრები, დირექტორები, აქციონერები, თანამშრომლები, აგენტები და კონსულტანტები არ არიან ხელმომწერის ან რომელიმე სხვა პირის მიმართ პასუხისმგებლები რაიმე არაზუსტ ან არასრულ საფონდო ბირჟის მონაცემებზე, რომლებიც მიღებულია BATS-ისა

ან ვენდორისგან, ასევე საფონდო ბირჟის მონაცემების მიწოდებაში დაგვიანებაზე, წყვეტაზე, შეცდომაზე ან გამოტოვებაზე, ანდა რაიმე პირდაპირ და ირიბ ან თანმდევ ზარალზე, რომელიც გამომდინარეობს ან წარმოიქმნება ზემოაღნიშნული უზუსტობის, დაგვიანების, წყვეტის, შეცდომის ან გამოტოვების გამო.

ეს პარაგრაფი არ ათავისუფლებს BATS-ს, ვენდორს, ხელმომწერს ან ნებისმიერ სხვა პირს პასუხისმგებლობისგან იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მათი უხეში დაუდევრობის ან განზრახ უკანონო ქმედების შედეგად, ანდა ფიზიკური დაზიანების მიყენებაზე ან სიკვდილის გამოწვევაზე საჩივრების შედეგად.

BATS-ი, ვენდორი და ხელმომწერი აცნობიერებენ და ეთანხმებიან, რომ ამ პარაგრაფის დებულებები ასახავს რისკის გონივრულ განაწილებას და პასუხიმგებლობის სათანადო შეზღუდვას.

7. **გარანტიების უარყოფა.** ხელმომწერი ცალსახად აღიარებს, რომ BATS-ი და ინფორმაციის მომწოდებელი მისი მესამე მხარეები არ აკეთებენ და არ იძლევიან ცალსახა თუ ნაგულისხმევ განცხადებებს ან გარანტიებს, მათ შორის, და არა მარტო, რაიმე ნაგულისხმევ გარანტიას ან რაიმე გარანტიას კომერციული ვარგისიანობის, ხარისხის ან კონკრეტული მიზნით გამოყენებისთვის ვარგისიანობის შესახებ.

8. **ინფორმაციის მომწოდებელი მესამე მხარეების პასუხისმგებლობის შეზღუდვა.** BATS-ის ინფორმაციის მომწოდებელი მესამე მხარეები არ არიან ხელმომწერის ან ხელმომწერის მეშვეობით კომპენსაციის მაძიებელი რომელიმე სხვა პირის წინაშე პასუხისმგებლები რაიმე პირდაპირ თუ ირიბ ზარალზე, დაკარგულ შემოსავალზე, ირიბ, საგანგებო ან თანმდევ ზარალზე, რომელიც წარმოიშვა არაზუსტი ან დაგვიანებული საფონდო ბირჟის მონაცემების შედეგად მაშინაც კი, თუ ინფორმაციის მომწოდებელი მესამე მხარეები ინფორმირებული იყვნენ ასეთი ზარალის წარმოშობის შესაძლებლობაზე. ინფორმაციის მომწოდებელი მესამე მხარეების ან მათთან დაკავშირებული პირების პასუხისმგებლობა ხელმომწერის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, რომელიც კომპენსაციას ეძიებს კონტრაქტის, დელიქტის საფუძვლით თუ სხვაგვარად, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს საფასურს, რასაც ხელმომწერი ან ხელმომწერის მეშვეობით კომპენსაციის მაძიებელი რომელიმე სხვა პირი იხდის.

10. **მოთხოვნები ან დანაკარგები.** ხელმომწერი თანახმაა, გაათავისუფლოს BATS-ი, მისი მფლობელები, ფილიალები, ქვემდებარე ორგანიზაციები, ოფიცრები, დირექტორები, თანამშრომლები, აგენტები და ნებისმიერი დაკავშირებული პირი პასუხისმგებლობისა და ზარალის ანაზღაურებისგან ნებისმიერი და ყველა იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან მიმართებით, რომლებიც დაეკისრა, მიადგა ანდა ამტკიცებს, რომ გამომდინარეობს ან უკავშირდება: (ა) ხელმომწერის რაიმე შეუსაბამობას ამ ხელშეკრულების პირობებთან; და (ბ) ნებისმიერი მესამე მხარის ქმედებას, რომელიც ეხება ხელმომწერის მიერ საფონდო ბირჟის მონაცემების მიღებას ან გამოყენებას, განურჩევლად იმისა ავტორიზებულია თუ არაავტორიზებული წინამდებარე ხელშეკრულებით. თითოეული მხარე თანახმაა,

პასუხისმგებლობისგან და ზარალის ანაზღაურებისგან გაათავისუფლოს (და ნებისმიერ შემთხვევაში, BATS-ს აქვს უფლება ერთპიროვნულად დაიცვას და მოაგვაროს) მეორე მხარე (მათ შორის BATS-ი) და მისი მფლობელები, ფილიალები, მასთან დაკავშირებული პირები, ოფიცრები, დირექტორები, თანამშრომლები, აგენტები და ნებისმიერი დაკავშირებული პირი ნებისმიერ იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან მიმართებით, რომელიც გამომდინარეობს, მოიცავს ან ეხება პრეტენზიას ანაზღაურების პასუხისმგებლობის მქონე მხარის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების გაყალბებასა ან სხვა დარღვევაზე, იმ პირობით, რომ: (ა) პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული მხარე წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს ანაზღაურების პასუხისმგებლობის მქონე მხარეს ასეთი მოთხოვნებისა ან დანაკარგების შესახებ; და (ბ) პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული მხარე გონივრულად ითანამშრომლებს ასეთი მოთხოვნებისა ან დანაკარგების დაცვაში.

10. **შეწყვეტა.** ხელმომწერი აღიარებს, რომ BATS-ს, როდესაც ამის გაკეთება კანონიერი ვალდებულებების შესასრულებლად ან სხვაგვარად სჭირდება, აქვს უფლება, ვენდორისთვის შეტყობინების მიწოდების გზით, ცალმხრივად შეზღუდოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი ან ყველა პირის უფლება, მიიღოს ან გამოიყენოს საფონდო ბირჟის მონაცემები ან ამ მონაცემების ნებისმიერი ნაწილი, და რომ ვენდორი დაუყოვნებლივ შეასრულებს ნებისმიერ ასეთ შეტყობინებას და შეწყვეტს ან შეზღუდავს საფონდო ბირჟის მონაცემების მიწოდებას და BATS-ს წერილობითი შეტყობინებით დაუდასტურებს შეტყობინების ასეთ შესრულებას. ნებისმიერი პირისთვის, ვისაც ასეთი შეზღუდვა ან შეწყვეტა შეეხება, ხელმისაწვდომი იქნება „ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის შესახებ“ 1934 წლის კანონით (შემდგომში, კანონი) განსაზღვრული პროცედურული დაცვა და ამ კანონის შესაბამისი წესები და რეგულაციები. შეწყვეტის იმ უფლებების გარდა, რომლებსაც ითვალისწინებს ნებისმიერი ის შეთანხმება, რაც ხელმომწერს შეიძლება ჰქონდეს ვენდორთან, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს ხელმომწერს ვენდორისთვის 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხოლო BATS-ს ვენდორისთვის ან ხელმომწერისთვის 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერმა ჩაიდინა დარღვევა ან რომელიმე მისი განცხადება თუ გარანტია ყალბი აღმოჩნდა, ანდა SEC-მა, მისი მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში, გასცა მითითება, BATS-ს აქვს უფლება, შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება BATS-ის ან ვენდორის მიერ ხელმომწერისთვის მინიმუმ 3 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

11. **შეტყობინებები.** ყველა კომუნიკაცია, რომელიც ამ ხელშეკრულების თანახმად წერილობითი ფორმით მიეწოდება BATS-ს, გაგზავნილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

BATS Global Markets Holdings, Inc.
8050 Marshall Drive, Suite 120
Lenexa, KS 66214
ვის: იურიდიული დეპარტამენტი

პირდაპირი კომუნიკაცია ხელმომწერთან იმ მისამართზე, რომელიც ვენდორისთვის იყო ბოლოს ცნობილი, ჩაითვლება მიწოდებულად (ა) ფაქტობრივი მიღებისთანავე, თუ ელექტრონული ფოსტითაა გაგზავნილი, ან (ბ) შეტყობინების თუ სხვა კომუნიკაციის გამოქვეყნებისთანავე ვებგვერდზე: www.bats.com ან მის სამართალმემკვიდრე ვებგვერდზე. ხელმომწერმა დაუყოვნებლივ უნდა წერილობით აცნობოს ვენდორს სახელის ან იმ საცხოვრებელი თუ ბიზნესის მისამართის ცვლილების შესახებ, სადაც ის საფონდო ბირჟის მონაცემებს იღებს.

13. **უფლებების გადაცემა.** ეს ხელშეკრულება ქმედითია და შესასრულებლად სავალდებულოა ამ ხელშეკრულების მხარეების და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისთვის. არც ვენდორი და არც ხელმომწერი არ გადასცემს ამ ხელშეკრულებას (მათ შორის, კანონის ძალით) BATS-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, თუმცა იმ პირობით, რომ BATS-ი უმიზეზოდ არ იტყვის უარს ასეთ თანხმობაზე. ზემოთქმულის მიუხედავად, ვენდორს ან ხელმომწერს აქვს უფლება, ეს ხელშეკრულება გადასცეს მასთან დაკავშირებულ პირს ან ფილიალს BATS-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, თუ გადამცემი მხარე არ არღვევს ამ ხელშეკრულებას ან არა აქვს რაიმე გადასახადის მიმდინარე დავალიანება BATS-ის წინაშე. BATS-ს აქვს უფლება, კანონით დადგენილი დებულებების შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ ან დაუკავშირებელ მხარეს გადასცეს ეს ხელშეკრულება ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება ან ვალდებულება ვენდორისა და ხელმომწერისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

13. **დებულებების ავტონომიურობა.** წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული დებულება ჩაითვლება ქმედითად და ძალის მქონედ შესაბამისი კანონის თანახმად, მაგრამ თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიჩნეული იქნა ძალადაკარგულად, გაუქმებულად ან განუხორციელებლად რომელიმე კანონის, წესის, ადმინისტრაციული ბრძანების თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ეს არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების ქმედითობაზე.

14. **მთლიანი ხელშეკრულება; შესწორება; უარყოფა.** წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მხარეების სრულ და მთლიან შეთანხმებას მის საგანთან დაკავშირებით და ძალას უკარგავს ყველა წინამორბედ წერილობით დოკუმენტსა და შეთანხმებას. წინამდებარე ხელშეკრულებასა და ხელმომწერთან ვენდორის ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის და/ან შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულების, როგორც BATS-სა და ხელმომწერს შორის შეთანხმების, დებულებებს. BATS-ს აქვს უფლება, ცვლილება შეიტანოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერ დებულებაში ვენდორისთვის ან ხელმომწერისთვის 60 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხოლო ასეთი თარიღის შემდეგ საფონდო ბირჟის მონაცემების ნებისმიერი გამოყენება მიჩნეული იქნება თანხმობად ახალ დებულებასა თუ პირობაზე. BATS-ის ან ხელმომწერის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის გამოუყენებლობა, გამოყენების დაგვიანება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებასთან, ძალაუფლებასა, ან

პრივილეგიასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი პრაქტიკიდან გადახვევა არ იქნება მიჩნეული მათი შესრულების უარყოფად; არც რომელიმე უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის ერთხელ ან ნაწილობრივ გამოყენება არ შეაჩერებს მათ სხვა ან შემდგომ გამოყენებას ანდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის გამოყენებას.

15. **მარეგულირებელი კანონი; იურისდიქცია.** ეს ხელშეკრულება რეგულირდება აშშ-ის ნიუ-იორკის შტატის ადგილობრივი კანონმდებლობით. ხელმომწერი თანახმაა, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცეს შტატის იურისდიქციას და ფედერალური სასამართლოებს აშშ-ის ნიუ-იორკის შტატში და შტატისთვის.

16. **სათაურები.** პარაგრაფების სათაურები მოცემულია მხოლოდ გაადვილების მიზნით და არ გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების ინტერპრეტირებისთვის. აქ გამოყენებული ყველა მითითება პარაგრაფსა თუ ქვეპარაგრაფზე ეხება წინამდებარე ხელშეკრულების პარაგრაფსა და ქვეპარაგრაფებს, თუ საგანგებოდ არ არის მითითებული სხვა დოკუმენტის პარაგრაფი თუ ქვეპარაგრაფი.

17. **მესამე მხარე ბენეფიციარი.** ვენდორი და ხელმომწერი ასახელებენ BATS-ს ამ ხელშეკრულების ბენეფიციარ მესამე მხარედ, რომელსაც აქვს უფლება, აღასრულოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება.

18. **ურთიერთშემავსებელი იურიდიული დაცვის საშუალებები.** თუ სხვაგვარად არ არის შეზღუდული წინამდებარე ხელშეკრულებაში, ყველა უფლება და დაცვის საშუალება, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით, ურთიერთშემავსებელია და არა ექსკლუზიური და ნებისმიერი მხარის მიერ რომელიმე უფლების ან დაცვის საშუალების გამოყენება, არ აჩერებს რომელიმე სხვა უფლების ან დაცვის საშუალების გამოყენებას, რომელიც შეიძლება ახლა არის ან მომავალში გახდეს ხელმისაწვდომი კანონის, სამართლიანობის, კანონმდებლობის, მხარეებს შორის სხვა შეთანხმების (მათ შორის, შეუზღუდავად, დამატებითი ხელშეკრულებების) თანახმად ან სხვაგვარად.

19. **ეგზემპლარები.** წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შედგენილი იქნეს ერთ ან მეტ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ჩაითვლება ორიგინალად, მაგრამ ყველა ერთად იქნება ერთი და იგივე ხელშეკრულება.